სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

29 **იანვარი, 2024 წ.**

ბრძანება № 01-02/08

2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს სტუდენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაციის (სწავლის საფასურის გადახდის) ვადების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', „ბსუ-ს 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილების შეტანის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის N01-02/181 ბრძანების, ბსუ-ს რექტორის მივლინების შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 26 იანვრის №01-14/33 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2023-2024 სასწავლო წლის **გაზაფხულის სემესტრისათვის** განისაზღვროს ბსუ-ს სტუდენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაციის (სწავლის საფასურის გადახდის) შემდეგი ვადები:

ა) I ეტაპზე - 2024 წლის 20 მარტის ჩათვლით - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **40%;**

ბ) II ეტაპზე – 2024 წლის 20 აპრილის ჩათვლით სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **30%;**

გ) III ეტაპზე – 2024 წლის 31 მაისის ჩათვლით - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **30%.**

2. წინამდებარე ბრძანება ეცნობოს ბსუ-ს სტუდენტებს ბსუ-ს პორტალის მეშვეობით.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,აკადემიური კალენდარი'' და ,,რექტორის აქტები"), ასევე ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს სოციალურ ქსელში.
4. ბრძანება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს (მათ შორის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს), სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფაკულტეტებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ანზორ ბერიძე**